

**ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID 19-ის მართვა
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)**

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციისაგან (COVID-19) დაცვის მიზნით, როგორც პრევენციული ღონისძიებების, ასევე დაავადების გამოვლენის შემთხვევაში, პროგრამა მოიცავს:

- ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკას (ტესტირება ანტიგენის განმსაზღვრელი სწრაფი/მარტივი მეთოდით):

ამბულატორიულ ტესტირებას ანტიგენის (SARS-CoV-2 Ag) სწრაფი ტესტით ექვემდებარება ნებისმიერი პაციენტი, რომელიც აღენიშნება კოვიდ ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ცხელება / ხველა / ყელის ტკივილი / სურდო / დიარეა და სხვა).

პაციენტისგან, ან მისი კანონიერი წარმომადგენლისგან არ უნდა იქნეს მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტი და/ან რაიმე სახის საფასური ტესტირების მომსახურების გასაწევად. ამასთან, სიმპტომების არსებობის შემთხვევაში განმეორებითი ამბულატორიული ტესტირება, ანტიგენის სწრაფი ტესტით, შეიძლება ჩატარდეს 72 საათის შემდეგ;

პროგრამით შეუძლიათ ისარგებლონ:

- ✓ საქართველოს მოქალაქემ, საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა პირმა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა პირმა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში მოთავსებულმა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებმა;
- ✓ ასევე: ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების მსურველმა უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროგრამის განმახორციელებელთან წარდგენილი სიის შესაბამისად). კერძოდ:

უცხო ქვეყნის მოქალაქე საქართველოს საჯარო/კერძო სკოლის მოსწავლეებმა, მოსწავლის და ამავდროულად თანამემამულის სტატუსით, ან თანამემამულის სტატუსის მქონე პირის არასრულწლოვანმა შვილებმა, მოსწავლის სტატუსით;

- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტმა ან პროფესიულმა სტუდენტმა, რომელიც არის თანამემამულის სტატუსის მქონე ან ასეთი სტატუსის მქონე პირის ოჯახის წევრი (მეუღლე, შვილი, და ან ძმა);
- ✓ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებულმა თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისა და თანამემამულის სტატუსის მქონე პირების უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ მოსარგებლებს;
- ✓ „უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების გამო განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №387 განკარგულებით განსაზღვრული პირები.

COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევის ბინაზე დისტანციური მართვას:

COVID-19-ის დადასტურების შემთხვევაში პაციენტმა შეტყობინება უნდა დატოვოს „112“-ში, დაუკავშირდეს ოჯახის ექიმს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) / დაზღვევის ექიმს ან სამინისტროს ცხელ ხაზს 1505-ს;

მომსახურების მიმწოდებელი (ე.წ. „ონლაინ-კლინიკა) განისაზღვრება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით;

ონლაინ-კლინიკის/დაზღვევის ექიმის მიერ სატელეფონო კონსულტაციით ხორციელდება ანამნეზის შეკრება, პაციენტის საწყისი კლინიკური შეფასება და მდგომარეობის შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება პაციენტის ბინაზე დატოვების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ;

პაციენტის სტაციონარულ დაწესებულებაში გადაყვანის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ადგილზე პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და ჰოსპიტალიზაციის საჭიროების განსაზღვრის მიზნით, „ონლაინ-კლინიკის“ მიერ ხორციელდება სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოძახება;

ბინაზე მეთვალყურეობაზე მყოფი COVID-19-ის დიაგნოზის მქონე ორსული პაციენტებისათვის, ონლაინ-კლინიკის ექიმის/დაზღვევის ექიმის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მეან-გინეკოლოგის კონსულტაციის და გარკვეული ლაბორატორიული და/ან ინსტრუმენტული კვლევების (გარდა კომპიუტერული ტომოგრაფიისა) ჩატარების ორგანიზება;

ბინაზე მყოფი დამძიმების რისკების მქონე მსუბუქი და საშუალო სიმძიმის პაციენტების (≥ 12 წლის და 40 კგ.-ზე მეტი წონის) სამკურნალოდ, საჭიროების შემთხვევაში, ონლაინ-კლინიკის/დაზღვევის ექიმის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია პაციენტს დაენიშნოს მედიკამენტი პაქსლოვიდი - დაავადების სიმპტომების გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 დღის ინტერვალში.

COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევის სტაციონარულ მკურნალობას:

პროგრამული მომსახურება მოიცავს პაციენტის თერაპიულ/რეანიმაციულ მკურნალობასთან ან/და დიაგნოსტიკასთან დაკავშირებულ ხარჯებს (მათ შორის, კვებას და ცენტრალიზებულად შესყიდული ან დონაციის გზით მიღებული მედიკამენტებით უზრუნველყოფას);

COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევის ბინაზე მართვის და სტაციონარული მკურნალობის კომპონენტით შეუძლია ისარგებლოს:

საქართველოს მოქალაქემ, საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა პირმა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა პირმა, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელიც ინფიცირებულია ან/და საექვოა COVID-19-ით ინფიცირებაზე და, ამასთანავე, მისი ოჯახის წევრს (შვილი, მშობელი, მეუღლე) წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, ასევე, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულმა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პირებმა (მოქალაქეობის სტატუსისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის მიუხედავად).

ცენტრალიზებულად შესყიდული ან დონაციის გზით მიღებული მედიკამენტებით უზრუნველყოფის ნაწილში დამატებით ბენეფიციარებად განსაზღვრულნი არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც კოვიდი დაუდასტურდათ საქართველოს ტერიტორიაზე ვიზიტის დროს, ასევე „უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების გამო განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №387 განკარგულებით განსაზღვრული პირები.

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული მულტისისტემური ანთებითი სინდრომით დაავადებული 18 წლამდე ასაკის პირთა ინტრავენური იმუნოგლობულინით უზრუნველყოფას

მოსარგებლეთ 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირი, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომლის ოჯახის წევრს (შვილი, მშობელი, მეუღლე) წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება სრულად და არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან.

მომსახურების (ტესტირების) მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ:

<https://www.ncdc.ge/#/pages/content/3a6cf4ad-0afa-4504-81b4-96568d7cac9c>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05